რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, პრინც ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წლიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება თფილისში — გაზეთის რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში — „დროების“ აგენტებთან. ფასი სამის თვის გაზეთისა ე. ი. 1 ოქტომბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ — 2 მან. 50 კაპ. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი, — ღირს — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა — 1 მან.

## საქართველო

### დღიური

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია თფილისიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგ ამბებს იწერებიან:

„აქ, კავკასიაში, საშინელი გაცხარებული გადაყვან-გადმოყვანა და მოძრაობაა ჯარისა. ადრე ფოთი-თფილისის რკინის გზაზე ჯარის გადაყვან-გადმოყვანისათვის სამხედრო სამინისტრო აქ თვეში 15,000 მანეთზე მეტს არ ხარჯავდა. ახლა კი მარტო დღეში 5,000 მან. ეხარჯება. საზოგადოთ აქ ყველანი მოელიან ომს და ამის გამო დიდი ზმადებაა.“

დღევანდელი გაზეთიდამ შეიტყობს მკითხველი, რომ სლავიანებსა და ოსმალეთს შუა ორი თვის ვადით მომხდარა დროებით მორიგება და ამ ხნის განმავალობაში, როგორც ამბობენ, ევროპის კონფერენცია შეიკრიბება და ყველა ღონის-ძიებას იხმარს, რომ საზოგადო ომი არ ასტყდესო; მაშა სადამე, ამ ცოტა ხნით მაინც ეს ჯარის გადაყვან-გადმოყვანა და საომრად მზადება შეჩერდება.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მთავრობას გაუგზავნია ამ დღეებში თავის დანდობილი კაცი სოფ. ქახში ხალილბეგისა და ინგილოების ადგილ-მამულის დავის გასარჩეველად. მკითხველს ეხსომება, რომ ამ საქმის თაობაზე ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო მოხსენებული, რომ ს. ქახის ახლომახლო ხუთი სოფლის მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებულნი არიან იმის გამო, რომ ხალილ-ბეგმა ჩამოართვა მამულები, ურომლოთაც ამ სოფლის ხალხს თითქმის სრულიად ცხოვრება არ შეუძლიანთ.

ამბობენ, რომ იმ პირს, რომელიც ამ საქმისთვის არის სოფ. ქახში გაგზავნილი, სრული სიმართლე დაუნახავს ინგილოებისა, ხალილ-ბეგისათვის ჩამოურთმევია სადავო მამულები და გლეხებისათვის ჩაუბარებია. ამბობენ აგრეთვე, რომ ხალილ-ბეგს ადრინდელი ზაქათალის მაზრის უფროსი უფ. შოლკოვნიკოვი დაუბარებია და იმისაგან მოელის ახლა თავის სიმართლის დამტკიცებასაო. მაგრამ ეს ცდა, მგონია, უბრალო იქნება, რადგან ამ საქმის გარემოების მცოდნე კაცებისაგან გაგვიგონია, რომ ინგილოებისკენ არის სრული სიმართლეო.

***

ერთი გარემოება შევიტყვეთ ჩვენ, უფ. სტრელეცკისა და ქახის შკოლის მასწავლებლის შესახებ, რომელიც კარგათ გვაგებინებს იმ გარემოებას — თუ რათ აგზავნიდა უფ. სტრელეცკი ქახის შკოლაში ზოგიერთ ქართულ წიგნებსა: ამბობენ, რომ უფ. როსტომაშვილმა, ქახის შკოლის მასწავლებელმა, სურვილი განუცხადა თავის უფროსს, უფ. სტრელეცკის, ამ შკოლის მიტოვებისა, რადგან იმ პროგრამმით, რომელსაც ის თხოულობდა მე სინიდისიანათ ასრულება მასწავლებლობის მოვალეობისა არ შემიძლიანო. ამბობენ, რომ, რადგანაც უფ. სტრელეცკი ძალიან აფასებდა უფ. როსტომაშვილის პედაგოგიურ ნიჭსა და მოღვაწეობას შკოლისათვის, ამისათვის სრული უფლება მისცაო, რომ ოღონდ კი დარჩი მასწავლებლად და ქართული ენის სასწავლებლად, მე თვითონ გამოგიგზავნი ქართულ წიგნებსაო, — და მართლაც მას შემდეგ ხან-და-ხან უგზავნისო.

აი ეს გახლავთ გამოცანა ხსენებული გარემოებისა.

***

სიღნაღელი ჩვენი კორრესპონდენტი ასე აგვიწერს იმ მუშტი-კრივის ამბავს, რომელზედაც ჩვენი გაზეთის ერთ წინანდელ ნომერში რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი:

„ამ თვის 3-ს სიღნაღის შუა ბაზარში ორი პირი მიდიოდა: თანაშემწე აქაური მაზრის უფროსისა და ჩაფრების სოტნიკი, და რაღაზედაც გაცხარებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. უეცრად დატრიალდა მუშტები და მთელს ბაზარში სილების ხმა გაისმა... საქმითი შეურაცხყოფისათვის უფ. სოტნიკი დაიჭირეს და თვითონ ამ საქმის თაობაზე ახლა გამოძიებაა დანიშნული. ხალხი ძალიან არ ემადლიერება ამ უეზდის უფროსის თანაშემწესა და იმედი აქვთ, რომ ამ შემთხვევის შემდეგ მაინც გადაიყვანებენ იმას აქედამ სადმე.“

***

ერთის დუშელი გლეხისაგან ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი:

„უფალო რედაქტორო, შენი ჭირიმე, ნუ გეწყინება ეს ჩემი შეწუხება. აქ ჩვენ მეზობელ მოზდის ხოლმე თქვენი გაზეთი „დროება“ და ჩვენც მოგვცემს ხოლმე წასაკითხათ. ამ ბოლოს ხანებში წავიკითხეთ რამდენიმეჯერ თქვენთან მოწერილი სოფლის გლეხებისაგან თავიანთი გაჭირების გამო წიგნები, რომლებიც თქვენ დაგებეჭდათ და თქვენც უსხნით გზასა. ამისთვის ჩვენც უნდა შემოგჩივლოთ ჩვენი დარდი:

„ჩემი მეზობელი ამ ცოტა ხანში გაჭირებაში იყო, და თუ მოიხსენიოთ — მშობიარობაზედ და ბებიას ვერ შოვობდა. ამაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი და ერთმა წამოიძახა, რომ მე გამიგიაო, რომ, თუ სოფლად არა, ქალაქში მაინც უნდა იყოსო ბებიაო და მგონია ესეც თქვეს, რომ ჯამაგირსაც ხაზინა აძლევსო ყველა ქალაქში ბებიისთვისაო და როგორ იქნებაო, რომ დაჰვიწყებიყოთო, რომ ამ ჩვენ ქალაქში ბებია — როგორც

## ფელეტონი

### ფიქრები და დარდები

V

სიცივეები დადგა. ჩრდილოეთიდგან ქარი საშინელის სუსხით მოქრის, როგორც ჩვენში. მთელი ოდესა ზამთარს ემზადება, აღარ ისმის ქიანურების თუ სალამურების ოხვრა-ჭიკჭიკი, რომელნიც „ბონ-ჟურის“ და „გუტმორგინის“ ხმაში ირეოდენ ხოლმე და, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, აქ „მუჭორე სკანი საქმესაც“ გაიგონებდი კაცი ამ ბაღებში; აქ მეგრელები ბევრი არიან სამუშაოთ ჩამოსულნი, როგორც ლონდონშიაც, ამბობენ.

ერთის სიტყვით, თითქოს მთელ ცასქვეშეთის კაცებს თავი მოუყრიათო ამ ოდესაში, ყველა ენას გაიგონებ, ყველა ტიპებს შეხვდები, მაშინ როდესაც ეს ქალაქი სიმართლით წმინდა რუსული უნდა იყოს.

აი, რა სურათს წარმოადგენს წარმოება, ვაჭრობა! ფული და ვაჭრობა მტრებს აძმობილებს და მოყვრებს ამტერებს, რუსის მიწაზედ ურიას აცხოვრებს და ამდიდრებს, როგორც ვსთქვათ ინდოეთში ინგლისელებს. ბევრჯელ გამიგონია: ვაჭრობა და ჯარი ერთსა და იმავე მიზანს მისდევენ და ერთი შედეგის არიანო, მხოლოთ ჯარით უფრო ცოტა ხნით დაიმონება ხალხი, ვიდრე ვაჭრობითო.

დიახ, მე ეხლა დავრწმუნდი, რომ ეს ჭეშმარიტებაა: მე მჯერა ეხლა, რომ ოდესა ურიებისა და ბერძნების მფლობელობაში უფრო დიდხანს იქნება, ვიდრე ჰერცეგოვინელები თათრების ხელში, ვიდრე ინდოეთი ინგლისელების ხელში ვიდრე სხვა პატარა ოსმალოს ხალხები, რომელნიც მარტო თოფ-იარაღით არიან დაბორკილნი, რომელთ მონება ჯარს უჭირავს ხელში. აინგრა სამეფო ოსმალეთი; ჩამოაბრძანეს ვთქვათ ტახტიდამ ეს უკვდავი აბდულ-აზისი, გამოლალეს თუ არა ეს რჯულით და კანონით მისი საკუთრება — მეფობა, ხომ ხედავთ, რაც მოხდა: ძველმა ცოდვებმა მთელს სამეფოს კისერი მიახრევინეს და დღეს თუ არა ხვალ მიენიჭებათ სრული თავისუფლება ოსმალოს პატარა ხალხებს...

×

არა, ვაჭრობა უფრო ძლიერი ყოფილა თოფ-იარაღზედ, განათლება კიდევ უფრო უძლეველი, მაგრამ ეს უკანასკნელი საშუალება დიდ სახელმწიფოებში როდი მიაჩნიათ კარგ საშუალებათ. და ეგრე, აქ რუსი ისრევე თივე მოყვარეა ურიის, როგორც ურია ფრანცუზის, ინგლისელის, ბრაზილიელის და ბრაზილიელი ჩინელის, მეგრელის. ყველას ერთი სული უდუღს ოქროების მადნებისკენ...

ოდესა ვითომ მარსელიაო, ამბობენ აქაურები ნოვოსელსკითურთ; ოდესა მომავალში ლონდონი იქნებაო იმის გარჩევით მხოლოდ, რომ ლონდონის ქუჩები საშინლად ვიწრონია, დახუთული ჰაერი დგას შიგ და ჩვენს ოდესას კი დაუმზადეთ პარიჟის პლანი და მისი განსპეტაკებული ქუჩებიო!

×

რაც უნდა იყოს, ოდესაში სამზღვარ გარეთელი ხომალდები უფრო ბევრი სჭიმავს თვალებს, ვიდრე აქაური „რუსულ საზოგადოებისა“ და რაც შეეხება იმას, რომ ლონდონის მერებს სტერლინგების ყლაპვა უყვარსო, ამაში აქაური უპრავის მწევრებიც არ ჩამოსცილდებიან; აქ არავის აკვირვებს ამისთანა შემთხვევა ვსთქვათ: უფ. ისნენკომ რომ ითხოვოს ასი ათასი მანეთი ქალაქის შენობების შესაკეთებლათ, მაშინ როდესაც ნამდვილია, რომ ეს მუშაობა 70,000 მანეთზე მეტად არ ჯდება, ან უფ. ბუროვიჩმა ამაყათ შესძახოს დუმას: „მე 325,000 მანეთი უნდა ამელო შავბენის და მოორის კანპანიისაგან შუამდგომლობისათვისო (ქრთამათ) და 125 ათასის მეტი არ ამაღიაო!

ამისთანაებს აქ ბევრს ფაქტებ-

რუსები ეძახიან „აკუშერკა“ — არ იყოსო.

„ამოობაში მოგვაგონდა თქვენი დალოცვილი გაზეთი, რომ გლეხების გაჭირვების წიგნსა ჰბეჭდავთ და მთხოვეს, ჩვენ სულ არა ვიცით რა მაგეებისაო და შენ ეგები ცოტა სუფთად დაჰსწერო და გაუგზავნო, იქნება და როგორც სხვებს, ჩვენც ისე აგვიხსნას სიმართლეო: გვეკუთვნის ქალაქში ის ბებია სახემწიფო, თუ არაო?..

„ერთმა სთქვა, ამითი უფრო ვიცი, რომ უნდა გვყვანდესო, რომ ამას წინათაც ერთს გაუჭირდაო და უთხრეს, აქაური ბებია თფილისის ქალაქში არისო, ტელეგრაფი დაჰკარ და მოვაო, ხოლოდ ხარჯს გამოგართმევსო, და ხარჯისა შეეშინდა: აბა, იმდენი ვინ მომცა, რომ იმას ხარჯი გადაუხადოვო და თავი დაანებაო.

„უფალო რედაქტორო, თუ არ გაგვიწყრები ამ ჩემ გაბედულობაზე რომ გაწუხებთ, ეს წიგნი დაბეჭდეთ თქვენ გაზეთში და თუ იცოდეთ, ამის კანონი გვაცნობეთ, რომ ვიცოდეთ, გვეკუთვნის თუ არა ბებია სახემწიფო? რომ, თუ არ გვეკუთვნის, ჩვენ თავს ერთი წამალი დავსდოთ. აქამდინ მაინც იყო ერთი ორი ქართველი ბებია და ერთი მოკვდა, მეორეც სადღაც წავიდა და გაჭირების შემთხვევაში მშველელი არა ვინ არის.— აქაური გლეხი

---

მართებლობის ბრძანება იყო დაბეჭდილი ოფიციალურს გაზეთს „კავკაზში“, რომ „დუშეთის უეზდის ბებიად დაინიშნებაო ნასწავლი ბებია ელისაბედ ნიკოლოზის ასული ყაზბეგისა. მაგრამ ეს ბებია ამ ჟამად თფილისშია (საბებიო ინსტიტუტში მსახურებს) და, როგორც გავიგონეთ, იმის მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ შემდეგშიაც აქ უნდა-დარჩესო.

ამის მეტი ჩვენ ამ საგანზე არა ვიცით რა გარდა იმისა, რომ თქვენ, დუშელების ცეცხლში სხვა უეზდის ქალაქებიც არიან ჩავარდნილნი, ყველა უეზდის ქალაქში, კანონით, სახელმწიფო ბებია უნდა იყოს დანიშნული, არის კიდეცა, ჯამაგირიც ეძლევათ, მაგრამ ცხოვრებით კი სხვა ქალაქებში ცხოვრებენ. რედ.

---

## წესდება

## მეჯვრისხევის სასოფლო სახელოსნო შკოლისა

(გორის უეზდში)

1) მიზანი ამ სასწავლებლისა არის გავრცელება სოფლის მცხოვრებლებში წერა-კითხვისა და მეურნეობაში საჭირო ხელოსნობაებისა.

2) შკოლაში მიიღებიან იმ საზოგადოებათა სოფლის ყმაწვილები, რომლის ხარჯზე ეს შკოლა გახსნილია.

3) მიღება დამოკიდებულია ყმაწვილის ხნიერობაზე და ჯან-მთელ აგებულებაზე (მისაღები ყმაწვილი 12—14 წლის უნდა იყოს).

4) შკოლაში შესასვლელათ არ სთხოვენ არაგვარ მოწმობას, საჭირო მარტო მამასახლისის მოწმობა, რომ ყმაწვილი ეკუთვნის ამა და ამ საზოგადოებას.

5) მომსვლელი ყმაწვილების რიცხვი განუსაზღვრელია, ისინი შეიძლება იყვნენ იმდენი, რამდენსაც ნებას აძლევს სახლი რიცხვი შკოლაში მცხოვრები პანსიონერებისა განსაზღვრულია იმ საზოგადოებათაგან, რომლის ხარჯზე შკოლაა გახსნილი, 10 ყმაწვილამდინ. მათი არჩევა იქნება მოსურნე ყმაწვილების წილის ყრით.

6) თუ საზოგადოება ისურვებს გაამრავლოს შკოლაში მცხოვრები ყმაწვილების რიცხვი, ვალდებულია დანიშნოს იმათ საცხოვრებლათ იმოდენი, რამდენიც დანიშნული იყო პირველ ათისთვის, დამატებით მათ შესანახავათ თითოსთვის 5 მანეთი.

7) შკოლაში (პანსიონში) მცხოვრები ყმაწვილებისთვის, სახლის გარდა, შკოლაში აქვსთ საჭმელი. ტანსაცმელი, ფეხ-საცმელი და თეთრეული კი უნდა მიეცესთ მოსწავლე ყმაწვილების მშობლებისაგან, ანუ ნათესავებისაგან.

8) მომსვლელი ყმაწვილები შკოლაში სწავლულობენ უფასოთ, უფასოდ ექნებათ აგრეთვე ყველაფერი, რაც სწავლისთვის საჭიროა.

9) თუ ვინმე, რომელსაც არა აქვს მონაწილეობა ამ შკოლის შენახვაზე, მოისურვებს შკოლაში მიაბაროს ყმაწვილი, მოვალეა აძლიოს სწავლისათვის 6 მანეთი წელიწადში.

10) შკოლაში ყმაწვილებს ასწავლიან ოთხი წლის განმავალობაში: სამღრთო წერილს, რუსულსა ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკას, ხატვას და შემდეგ ხელოსნობას: დურგლობას, მჭედლობას და ხარაზის ხელობას.

11 სასწავლებელის დროს განაწილება ერთი კვირის განმავლობაში შემდეგია:

სასწავლებელი საგნები:

სამღრთო წერილი—2 საათი კვირ.
დედა ენა — — —3
რუსული ენა — —5
სასარგებლო ცნობანი 3
არითმეტიკა — — 3
მხატვრობა— — —2

სულ—18 გაკვეთილი

12) ყოველ დღე საგნების სასწავლებლათ დანიშნულია 3 საათი, დილის რვა საათიდამ 12-მდის. ამაში ირიცხება საათებ შუა დასასვენებელი დროც. სადილ შემდეგ ასწავლიან ხელოსნობას—$6^1/_2$ საათიდამ საღამოს რვამდინ, ესე იგი $1^1/_2$ საათი ყოველ დღე.

13) ზედამხედველნი და სხვა მასწავლებელნი ინიშნებიან და დაითხოვებიან მაზრის უმფროსისა და სახალხო შკოლების ინსპექტორის დათანხმებით, რომელთაც აქვსთ ნება დახედონ შკოლა თვითონვე ანუ იმათგან დანიშნულ კაცებმა; შემჩნეული უწესოება და საჭიროება ადგილობრივ მამასახლისმა უნდა შეატყობინოს მაზრის უფროსს.

14) შკოლაში მცხოვრები მოსწავლენი, რომელნიც გამოდგებიან უნიჭო ანუ ცუდი ზნეობისანი, გამოირიცხება შკოლიდან მთავრობის თანხმობით და ზედამხედველის და მასწავლებლის შემოწმებით.

15) შკოლაში მცხოვრები ყმაწვილი, რომელმაც ვერ შეისწავლა რიგიანათ ხელოსნობა, მაგრამ შემჩნეული იქნება, როგორც გულმოდგინე და კარგი ზნეობის, დარჩება შკოლაში კიდევ ერთი წელიწადი ზემოხსენებულ ოთხი წლის გარდა.

16) შკოლაში მცხოვრები ყმაწვილი მოვალეა, თავის სწავლის შესრულების შემდეგ, ორი წელიწადი ემსახუროს იმ საზოგადოებას, რომლის ხარჯზე ის იზრდებოდა, ანუ შემოიტანოს, ექვსი წლის განმავალობაში 40 მანეთი, სასწავლებლის კასსაში, რომლის დახარჯვა შეიძლება მარტო ღუბერნატორის ნებართვით; მანამდინ კი ფული უნდა იყოს შენახული პრიკაზში.

---

# უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** უკანასკნელი ამბავი ოსმალებსა და სერბიელებს შუა ომის თაობაზე ის არის, რომ ამთვის 19-ს ოსმალეთის ჯარს აუღია იერიშით საუკეთესო სიმაგრე სერბიელებისა ალექსინაცი და ამასთანავე ჩერნიაევის ჯარი საგანგებოთ დაუმარცხებია.

მეორე დღეს რუსეთის ელჩის— იგნატიევის შუამდგომლობით, დროებით (ორი თვით) მორიგების პირობა შეჰკრეს მებრძოლთ ოსმალებმა და სლავიანებმა.

ამნაირად ამ ორი თვის განმავალობაში დაიმედებული უნდა ვიყვნეთ, რომ სისხლი არ დაიქცევა არც ბალკანის ნახევარ-კუნძულზედა და არც სხვაგან. ამბობენ, ევროპის უმთავრეს სახელმწიფოების კონფერენცია უნდა შეიკრიბოს ახლაო, საბოლოოთ გადაწყვეტონ ეს უთანხმოება ოსმალეთს და სლავიანებს შუა. მაშ ახლა ყველაფერი ამ კონფერენციაზედ არის დამოკიდებული: თუ იმან კარგათ მოათავსა ესრედ წოდებული „აღმოსავლეთის კითხვა“ და გაარიგა ყველაფერი, რაც ასე ხშირად და

---

შეხვდები და ამისთანა კაცებს პატიოსან და კარგათ არჩეულებს ეძახიან. მაგრამ რა უყოთ, ყველა ქალაქებს თავისი ჩვეულება აქვს და თავისი ზნე სჭირს: დღეს ჩვენს თავად-აზნაურობაში ერთსაც ვერ მოსძებნი, რომელიც ნ. წ. წინააღმდეგი იყოს, მაგრამ ეს იმას კი არ ამტკიცებს, რომ ამას წინეთ ნ. წ. საშინლათ არ ეძაგებიათ; გუშინ ცუდი კაცი იყო, დღეს საქები, ხვალ ვინ იცის ეგებ ხელ-ახლავ აძაგონ.

×

ყოველს თავისი ზნე და ჩვეულება აქვს-მეთქი, ვამბობ. მართალიცაა: ხვალ თფილისი ვინ იცის რამ სიდიდე და რა კარგი ქალაქი არ შეიქნება და თუ აგრე გამოიცვალა, ეს, რასაკვირველია, თამამშევის წყალობით. როგორც მესმის, უფ. თამამშევი შიგ შუაგულ ქალაქში, სადაც ქალაქის „სიტია“ და მისი ქარვასლა, ბირჟის გახსნას აპირებსო, ე. ი. ეს იმისთანა სავაჭრო ადგილი იქნება, სადაც საქონლის მაგიერათ ფულით ივაჭრებენ; ვსთქვათ, შენ 100 მანეთიანი ჩვენი აზნაურობის ბანკის გირაოს ფურცელი გაქვს; ვსთქვათ, შენ გსურს ამ ფურცელში ნაღდი ფული აიღო ამ ბირჟაში, შენ იძულებული იქნები ას მანეთიანი ოთხ თუმნათ გაყიდო; აი, ეს ბირჟა ამ მანქანების იქნება.

და სადაც ეხლა ბირჟის გახსნას აპირებენ, იქ უწინ, როდისღაც თეატრი იყო; დიაღ, სადაც გულშესვრილ ლირის მიყურად ვიყავით, დღეს იმ ზალაში თავ-ბრუ დასხმულს და ჯიბადაცარიელებულს თავადებს შევხვდებით, სადაც სკაპენის გაიძვერობა გვაცინებდა, იქ დღეს ჩვენს ცოლშვილის ამტირებულს და ჩვენი ოჯახის ამაოხრებელებს დავეძგერებით ცხოვრების ასპარეზზედ, ქართველი კაცის გულ-უხვობა უნდა შეეხეთქოს მაკლერების გულ-მცირობას, ვაჭრობამ შრომას უნდა გეებაასოს ამ ზალაში, ადამიანმა კუდიანებს უნდა შესცინოს, სხვა დიდი ქალაქების ჟამი ჩვენს თფილისშიაც უნდა მოვლინდეს, როგორც ხედამთ,—და ეს სულ მისთვის, რომ ჩვენი ძველი თეატრი პროსპექტზედ ბალში გაიჭიმოსო, თფილისი,უჩრდილოთ გულშეწუხებული, ამის გამო ერთს საუკეთესო ბაღსაც უნდა მოაკლდეს!

მაშ, ვამბობ, თფილისს ბირჟაც ექნება და თეატრიც ისრე, როგორც უპრავაც ყავს და ქალაქის შენობების ზედამხედველსაც მოესწრა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ოდესისთანა ყაზარმები არა გვაქვს, მაშ იმედია იაინენკოებიც არ გამოგვიჩნდებიან და არ გამოგვიჩნდებიან, ვფიქრობ, იმ მიზეზით, რომ თფილისი უფრო წინდახედულია ოდესაზედ, ოდესელებისავისავით ტყუილ-უბრალოთ არ დაწვავენ 6 ათას მანეთს შუშხუნებში სტუმრების მისაღებლათ.

არაფერი არა გვაქვს, მაგრამ ეს არაფერი კიდევ იმას შეიცავს, რომ ჩვენც ისრე მოვიქცევით, როგორც სხვა მომაკვდავები; ქუთაისის თავად-აზნაურობაც სხვებსავით მამაკვდავი არ არის; მაგრამ დახეთ, ცარიელ ჯიბიდგან 70 ათასი მანეთი ამოიღეს ოდესიდგან პოვარ-მზარეულების და მსახურ-ლაქიების მოსაყვანათ, შესამჩნევი სახლის ასაშენებლად, რომელიც დღეს თუ ხვალ სიდამპლით დაინგრევა და რომელსაც დღეს ქალაქი ისაკუთრებს.

ოჰ, ფულები, ფულები! დიდი რამ მანქანაა ეს წყეული, სადაც ივანე ამბობს: „აქ მომივა მე კაპუსტა!“ იქ ერისთვის სომეხი უპასუხებს: „ა ვ კარმანე ბუდეტ პუსტა.“

×

დიაღ, აქ სიცივეები დადგა; უპალტოო კაცებს მეტად ამხიარულებს ეს გარემოება, ფელტონების წერაზედაც უფროსი ხალისი მოუდის კაცს. ქუჩებში უფრო ცოტა მოძრაობაა, ყველანი სახლებში იმალებიან; მეც ჩემს ოთახში ვზივარ... უკაცრავათ, ხორბალის გადატან-გადმოტანას საშინელი ხმაურობა გააქვს ეხლა ოდესაში; წრეულს სიმინდს და ხორბალს დიდი ფასი აქვსო, ურიები არ სხედან ამის გამო ჩემსავით, ოთახებში. საფრან-

საშინლად აღშფოთებს ევროპას, მაშინ ომიანობა აღარ იქნება; მაგრამ თუ კონფერენციამ ერთად, თანხმობით არ გადაწყვიტა ეს საგანი, თუ, ერთის სიტყვით, ერთნაირი გადაწყვეტილება არ წარუდგინა მისაღებად ერთის მხრით ოსმალეთსა და მეორეს მხრით სლავიანების ინტერესის დამცველს—რუსეთს, მაშინ ადვილად მოსალოდნელია, რომ ორი თვის შემდეგ ომი ხელ-ახლად ატყდეს, საზოგადო ომი, რომელშიაც რუსეთი, უეჭველია, მონაწილეობას მიიღებს. ამ ყობაც არის, რომ ომისათვის მზადება ჯერ-ჯერობით არც რუსეთს შეუწყვეტია, არც ინგლისს, არც ოსმალეთს და არც სხვა სახელმწიფოებს, რომელნიც კი ამ საზოგადო შეტაკებაში მონაწილეობას მიიღებენ.

—

**რუმინია.** რუმინია ემზადება საომოდ. ამბობენ, რომ ამ სახელმწიფოს ოსმალეთის სამზღვარზე დიდძალი ჯარი ჰყავს დაბანაკებული და როგორც ნახავსო, რომ ოსმალო რიგიანათ ვერ ასრულებს დროებით მორიგების პირობებს, იმ წამსვე ამ ჯარს სამზღვარზე გადაიყვანს და ქალაქ დოვოს დაიჭერსო.

გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუ ორი თვის შემდეგ ხელ-ახლად ატყდა ბრძოლა, ამ ბრძოლაში სხვა დიდ სახელმწიფოთა შორის რუმინია და საბერძნეთი გაერევიანო.

—

**საფრანგეთი.** ფრანცუზულ გაზეთებში იწერებიან, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტერი—გერცოგი დეკაზი ნაციონალურ კრებაში იტყვისო, რომ საფრანგეთის მმართებლობა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდაო, რომ ევროპის ომი არ ამტყდარიყოვო და თუ მეცადინეობამ შემდეგში ფუჭად ჩაუარა და მაინცა-და-მაინც ატყდა ომიო, ხალხი დაიმედებული უნდა იყვესო, რომ საფრანგეთში ამ ომში არაფითარ მონაწილეობას არ მიიღებს, ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

# ისტორია

## თეოფილაქტე რუსანოვი

### პირველი ეკზარხოსი საქართველოისა *)

—

(1765—1820)

(გაგრძელება)

ამისთანა მამობრივ სიყვარულს თეოფილაქტესას რიაზანის სემინარიელები ხანდისხან ბოროტად ხმარობდნენ. სხვათა შორის, ვიტყვით ერთ ამისთანა შემთხვევაზე:

თეოფილაქტემ სემინარიის მთავრობას მისცა ფიცხელი ბრძანება, რომ მრეცხელ ქალებს არ დაეწყოთ სიარული სემინარიის ბურსში, მაგრამ რადგან სახელმწიფო მრეცხელი არავინ იყო დანიშნული, შაგირდები თვითონ ქირაობდნენ ქალებს ტანისამოსის სარეცხათ. თვითეულ შაგირდს თავ-თავისი მრეცხველი ჰყავნდა. შაგირდები ზოგი ოცი წლის იყო და ზოგი ოც-და-ხუთის და საგულისხმო იყო, რომ მათზე კარგი გავლენა არ ექმნებოდა ქალების სიარულს სემინარიის ოთახებში. ერთხელ რამოდენიმე მრეცხელი ქალები იყვნენ შაგირდებთან ოთახში. სემინარიელების საუბედუროდ, ამ დროს თეოფილაქტე მოვიდა სემინარიაში და პირ-და-პირ იმ ოთახისკენ წამოვიდა, სადაც ეს ქალბატონები ჰყავნდათ სემინარიელებს. შეიქნა ერთი უშველებელი ამბავი—თუ სად დაემალათ ეს ქალები. უფროსი შაგირდი დადგა კარებში და რომ მოვიდა თეოფილაქტე შესასვლელად, მოახსენა:

— თქვენო მაღალ-ყოვლად-სამღვდელოესობავ, გთხოვთ ნუ შემობრძანდებით ოთახში.

— რატომ? ჰკითხა თეოფილაქტემ.

— რწყილები გახლავსთ ბევრი და არ შერცხვებათ მათ, რომ თქვენც შემოგესიონ. უპასუხა შაგირდმა.

თეოფილაქტე გაბრუნდა და მართლა აღარ შესულა. ასე ადვილად გადარჩნენ საწყლები თეოფილაქტეს რისხვას.

ერთ ახირებულ მომხდარ შემთხვევას ამბობენ კიდევ თეოფილაქტეს დროს რიაზანში, რომელსაც ეხლა ძნელად დაიჯერებს კაცი. აი ეს შემთხვევა:

თეოფილაქტეს დროს ერთმა რიაზანელმა მდიდარმა კაცმა მეორე ეტაჟა მოაშენა სობოროს სამრეკლოზე. ზარები უნდა აეტანათ ამ ზემო ეტაჟზე. თეოფილაქტემ მახლობელს სობოროზე ერთი ეკკლესიის ზარი დაარეკინა ხალხის მოსაწოდებლად, მაგრამ ბევრი არავინ შეიკრიბა. ბოლოს უბრძანა სემინარიელების გამოყვანა დასახმარებლად ზარების აწევაზე. ერთი ზარა 500 ფუთიანი როგორც იქმნა აიტანეს, მაგრამ სხვები დარჩნენ. თეოფილაქტემ მადლობა უთხრა ყველას და სთხოვა მეორე დღეს მოსვლა სხვა ზარების ასატანათ.

მეორე დღეს მოქალაქეებიც ბევრი შეიკრიბნენ, მაგრამ ზოგიერთებს სემინარიელები არ უშვებდნენ ასაწევათ. ამისთვის მოქალაქეებმა დაუწყეს ქირდვა და დაცინვა სემინარიელებს; შეიქნა კრივი ჯერ პატარა შაგირდებსა და ქალაქის ბიჭებს შორის. თეოფილაქტეს პატარა მგალობლები, რომელნიც კრივში ერივნენ, გაიქცნენ მასთან და შესჩივლეს. თეოფილაქტემ უთხრა: „რატომ არ სთხოვეთ სემინარიელებს, რომ მოგხმარებოდნენ? განა ცოტანი არიან ისინი აქ?“

გაიგეს თუ არა ეს სემინარიელებმა, ჩაერივნენ კრივში და სუყველა მოქალაქეები დაიფრინეს. სემინარიელები მაინც ძლიერ გამამაცდნენ, როდესაც გაიგონეს სიტყვები თეოფილაქტესი: „ვისაც აქვს ღონე და მოხერხება, წადით და მიეშველეთ.“ თვითონ თეოფილაქტე ამ კრივს დიდის სიამოვნებით უყურებდა სობოროს გალერეიდამ.

გაიგო თუ არა ეს სემინარიის რექტორმა, გამოიქცა და ჯოხით უნდოდა გარეკა სემინარიელებისა, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ კრივი თეოფილაქტეს ნება-რთვით, მოხდა და თვითონაც მას უყურებს სიამოვნებით, უკან გაიპარა და აღარ გამოჩენილა. ამ დღეს სემინარიელებმა აჯობეს, მაგრამ მეორე დღეს მრავალი მოქალაქეები შეიკრიბენ. თეოფილაქტემ შენიშნა, რომ უთუოდ გამარჯვება დარჩებოდა მოქალაქეებს და ამის გამო თავის პროტოდიაკონი და მისი ორი შვილი დიაკვნები, რომელნიც საშინლათ ღონიერები იყვნენ, მოიწოდა სამხედრო რჩევაში და ბევრი იფიქრეს—თუ როგორ აღადგინონ პატივი სასულიერო წოდების მუშტი-კრივისა! ბოლოს მისცა ნება ამათაც მუშტის-კრივში გასვლისა.

შეიქნა ისეთი კრივი, რომელთანაც ჩვენი ტფილისელების მუშტი-კრივი არაფრად გამოჩნდებოდა! სადაც კი მიადგებოდა პროტოდიაკონი ურდო ხალხს, სულ მიწაზე აფენდა თავის ნაკურთხი მუშტებით. ისე დაიფრინეს მოქალაქები, რომ სად იმალებოდნენ, კაცი ველარ ხედავდა. თეოფილაქტეც ძლიერ კმაყოფილი დარჩა ამისთანა გამარჯვებით...

დღეს ეს ამბავი ძლიერ გასაკვირვებელია, მაგრამ აქედამ ცხადათ შეიტყობს კაცი—თუ როგორ შეთვისებულია თავის დროის ჩვეულებასა და წესს კაცი, რაც კარგი ნასწავლი და განათლებული უნდა იყოს.

ტყუილა-კი არ არის ნათქვამი: „რომელ საზოგადოებაშიაც სცხოვრებდე, იმ საზოგადოების ქუდი დაიხურეო.“ თეოფილაქტემ იცოდა ხალხის ხასიათი და ისე იქცეოდა, და ამ შემთხვევამ დიდი სიყვარულ ც ჩაუნერგა მასზე რიაზანის საზოგადოებას!....

*) იხილე „დროება“, № 113

გეთს რვა მილლიონი ეკტოლიტრი ხორბალი აკლიაო, ინგლისს ოცდა-რვაო, იწერება აქაური გაზეთის კორრესპონდენტი ლონდონიდგან, ამას გერმანიაც დაემატება, იქვე ავსტრია, იხლა დამშეული ოსმალოს მდგომარეობაც წარმოიდგინეთ და მიხვდებით—თუ რა ფაცაფუცში უნდა იყვნენ დღეს აქაური ვაჭრები; ბერძნები ეხლა გალობენ პატრიოტულ სიმღერებს, სამი რკინის ხომალდი გვაქვს ჯერ-ჯერობითო და აგრე თუ წავიდა ჩვენი საქმე, შვიდს კიდევ ავიშენებთო და მაშინ გვიყურე—თუ რა ფეთება მივსცეთ თათრებსო, მაშინ ნახავ—თუ სტამბოლი ხელში არ ჩავიგდოთო, ჩვენ ერთხელ ცასქვეშეთის მრძანებელი ვიყავითო და უნდა შევიქნეთ ხელ-ახლაო, ჩვენ გადავაგვარეთ კაცობრიობაო, ბარბაროსული ჯინში გამოუცვალეთო, ესვე ხვედრი გვიძევს შემდეგშიო.

ამასვე არ გვეუბნება ჩვენი ისტორიკოსიც? მისი აზრით აზიის გადამაგვარებელი ჩვენ არ ვყოფილვართ? სპარსელები ჩვენ არ გამოგვიყენებია ხალხათ და ამასვე არ უნდა ელოდენ მომავალში სპარსელები ჩვენგან? არა, როგორიც უნდა იყოს ჩვენი ისტორიკოსის აზრი, მე იმის მსურველი არ გახლავარ, რომ სპარსელებმა ხელ-ახლავ დაგვიწვრიონ თფილისი, თუ ჩვენი გონებითი ზედმოქმედება რომელიმე ხალხზედ მაგნაირი შედეგისაა, უკაცრავათ თუ არ ვიქნები, მე იმ დროის დიდებას დავსწყევლი...

მაგნაირ ბერძნების პატრიოტობასაც კი რა უთხრა, თუ თავისი თავი ვერ გადუგვარებიათ და სხვა ხალხებს ეპოტინებიან, თავის ოჯახში ვერ დამდგარან; ალბათ რუსულ ხორბალს კარგათ წამოუგორებიათ მათი მუცელი, თუ ამნაირი ოცნებები მოუდისთ ხოლმე. ამაზედ ჩვენი ზნეობა-დაცემული საზოგადოება იტყვის: „გალმას გამოედავე, რომ გამოღმა დაგრჩესო.“ ჭეშმარიტება ამბობს, ყველა ხალხებმა თავთავიანთ ოჯახებში დადექით და თავიანთსას მოიკითხეთ სამასპინძლო „სტუმარი“, პ. დადიანის სიტყვის არ იყოს; თქვენს ოჯახს მოუარეთ, თორემ მომავალი ახლოა, ეკლესიები ღრიალით რეკავენ თავიანთ ზარებს, დედო ჭირი თავს ყოფს და გაბრუნდებულ, ცრუ გზაზედ მავალ ხალხებს, როგორც დღეს თათრებს, ცრუ შედეგი, ცუდი ცხოვრება მოსდევსო, ამბობს და კიჟინობს ჭეშმარიტება.

×

ჩემს ოთახში დღეს დიდს ცვლილებას აპირებს ჩემი მასპინძელი. ფორტოჩკას მიკეთებენ, რომ ხანდისხან მაინცა ჩრდილოს სუსხი შემოგიტანოს შენს დახუთულს ოთახში და შენს აღშფოთებულს გულს მით ცოტა სიამე, სიგრილე მაინც დაეტყოსო, მეუბნება ჩემი ქალბატონი.

მართალია, მეფელტონეს და ნამეტურ ჩვენი საქმეების ამწერს მეტი და მეტი სიგრილე და ალვირის ამბა სჭირია....

ქუთაისის ბანკის დამფასებლებს უფრო წინ-დახედული ამორჩევა ეკადრებოდა, ვიდრე ზედამხედველ კომიტეტს ეს უნებებია; მაგრამ რა ქნას ზედამხედველ კომიტეტმა, ჯერ მარშლები ყავდათ ამოსარჩევი, ამასთან ნ. წერეთელი მოთავე; მარშლათ ამ საქმისთვის ბევრი დამაშაკები ეჭირვებოდათ, ამის შემდგომ კომიტეტის ყველა მწევრებს თავ-თავის საქმეები ამოუჩნდათ, ზოგი თფილსში დასეირნობდენ, ზოგი უპრავაში დაციქციქობდენ, ზოგი პეტერბურღში დახტოდენ მალაზიების გასახსნელათ, ზოგს გურიაში ამოუჩნდა თავის საქმეები გამიჯვნის თაობაზედ, მაგრამ გურიაში საუბედუროთ ალებ-მიცემა, თუ ტყის ვაჭრობა როგორლაც ვერ მიდის კარგათ, სეფაზედ კაცს მუშაობა არ შეუძლიაო, ღორებს ან მგელები შეგიჭამს, ან მეზობელი მოგპარავსო, ინგლისელები ცოტა ფულს იძლევიანო გურიელების ტყეშიო, ამბობენ sic-ცხოვრებაში განვითარებულნი და ვითომ პრაქტიკაში გაქსულნი ბრძენები!

პეტრე

რიაზანის სამღვდელოება ძლიერ მადლიერნი იყვნენ თეოფილაკტესი, თუმცა ერთ მის ნაკლულევანებაზედაც კი ბევრი ლაპარაკობდა; ეს ნაკლულევანება მაშინდელ დროს ნაკლულევანებაც იყო.

თეოფილაკტე პეტერბურღში ძლიერ მდიდრულ ცხოვრებას იყო მიჩვეული. რიაზანში მას კარგად სურდა ცხოვრება. თვითონაც უყვარდა სტუმრები და არც თვითონ სძულდა სტუმრათ სიარული; ნაწირვებს ყველა რიაზანის დიდ-კაცობას ჩვეულებათ ჰქონდათ თეოფილაკტესთან მისვლა.

ამისთანა ცხოვრების კაცს ჯამაგირი დიდი უნდა ჰქონებოდა, მაგრამ იმდენი შემოსავალი მას არ ჰქონდა. ამისათვის ძალა-უნებურად გაჩნდენ სხვა და სხვა შემოსავლის წყაროები. გაჩნდა ესრეთ-წოდებული საშრომელი და ფეშკაშები. რასაკვირველია, თეოფილაკტეს პირ-და-პირ კი ვერავინ გაუბედავდა, მაგრამ მის სეკრეტარს კი შებედავდენ ხოლმე! ეს სეკრეტარი მან კალუგის ეპარხიიდამ მოიყვანა და ბოლოს საქართველოშიაც წამოიყვანა.

ქრთამობა გაჩნდა პირველი დღიდამ თეოფილაკტეს მისვლისა რიაზანის ეპარხიაში და შეურნაირიც იყო. ერთ დროს თეოფილაკტემ რიაზანის სემინარიელებს 60 შაგირდს ეკზამენი დააჭერინა, და მათში მეორე კლასში გადასვლა მიულოცა მარტო 36 შაგირდს და დანაშთენი დარჩნენ. შესწუხდნენ შაგირდები, გამოიღეს თითომ ორ-ორი მანეთი და მიართვა ორმა უფრო გამბედავმა შაგირდმა სეკრეტარს, რომელმანც პირველად თითქო იწყინა:

— განა სწავლის ყიდვა შეიძლება? უთხრა იმათ. შაგირდებმა მოახსენეს: — არა, ბატონო, ჩვენ ქრთამათ კი არ მოგართვით ეს ფულები, თქვენი საშრომელი გახლავსთ.“ ბოლოს უკან დაიდო ხელი ფულების ჩასადებათ. შაგირდები ყველანი გარდაყვანილნი იყვნენ!....

# განცხადებანი


## ბიბლიოგრაფიული განცხადება

**გუნების კარი ი. გოგებაშვილისა**, მესამე, შევსებული გამოცემა, სურათებით და საქართველოს კარტით ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება სოლომონ ვართანოვის წიგნების მაღაზიაში. წიგნი წინეთ გამოცემაებზედ მეტია ექვსი ბეჭდვის თაბახით და ღირს თხუთმეტი შაური. მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა: თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ ნაღდ ფულზედ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა, — ცამეტ შაურათ, ვინც იყიდის ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ, ვინც წაიღებს ას ეგზემპლიარსა.

აქვე ისყიდება **დედა ენა**, მისგანვე შედგენილი, ექვს შაურათა. ეს წიგნი დაეთმობათ ხუთ შაურათ სასწავლებლებს, როცა ერთათ ნაღდ ფულზედ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და კერძო პირებს, როცა ერთათ წაიღებენ ას ეგზემპლიარსა.

ვისაც სურს ან ერთი ან მეორე წიგნი ყდაში გადაკრული მიიღოს, უნდა ეგზემპლიარის ფასს დაუმატოს სამი შაური.

(5—1)

## LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

—

## pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—72

## წალკოტი
თქმული
### დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა უმაღლესად დამტკიცებულის წესდების § 16 [illegible], რომ ამ წლის ოცს ნოემბერს 12 საათიდამ ორს საათამდე [illegible] ქ. თფილისში თვით ბანკის გამგეობაში მოხდება სოყოველთაოთ გასყიდვა ვადის გადაუხდელობისთვის შემდეგთა პირთ უძრავ მამულთა, რომელნიც ქვემო არიან მოხსენებულნი, შემოუტანლობისა გამო მათგან სესხისა, რომელიც მათ უნდა შემოეტანათ ვადაზე ბანკის წესდების §§ 29 და 30 დადგენების ძალით:

| მეპატრონეთა სახელი დაგვარი | რა გვარი მამულია, | ადგილი მდებარეობა მამულისა. | თავნი-ვალი. | თავნი ვალი სხვა გვარი გადასახადს მიმატებითა. |
|---|---|---|---|---|
| ყორღანოვი, მერაბ ზაქარიას ძე. | 252 დესიატინა და 600 ოთხ-კუთხი საჟენი | თფილისის უეზდის სოფ. შავთასა და ვანეთში. | 3984 მ. 54 კ. | 4177 მან. 85 კაპ. |
| ბედევანოვისა, ეკატერინა ივანეს ასული. | ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი | ქ. თფილისში II განყ. I უჩასტკაში, ავჭალის ქუჩაზედ. | 3711 მ. 91 კ. | 3782 მან. 17 კაპ. |
| მურადოვი, ივანე ბიორგის ძე. | ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი. | ქ. თფილისში, I განყოფ. I უჩასტკაში. | 1181 მ. 73 კ. | 1267 მან. 94 კაპ. |
| ბებუთოვი, დავით მელიქზადეს ძე. | 208 დესიატინა და 378 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილ. უეზ. სოფ. წყნეთში. | 4488 მ. 57 კ. | 4702 მან. 41 კაპ. |
| ალენიკოვისა, სალოძე. | ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ფლიგელითა და სხვა შენობით. | ქ. თფილისში I განყოფ. I უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზედ. | 3939 მ. 10 კ. | 4158 მან. 90 კაპ. |
| სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული | რვა თითო ეტაჟიანი დუქანი, ორი დუქანი ორ-ეტაჟიანი და ორიც სამ-ეტაჟიანი. | ქ. თფილისში I განყოფილების I უჩასტკაში. | 17,723მ.95კ. | 18,816 მან. 03 კაპ. |

აღნიშნულნი მამულნი გაისყიდებიან ერცლად — ერთიანად და არა ნაწილებათ, და თვითოეულ მამულზე განსაკუთრებითი ვაჭრობა მოხდება თანახმად წესდების § 19 იმ რიცხვიდამ, რომელიც იმაზედ ირიცხება ბანკის კაპიტალური ვალი, ვადაზე შემოსატანი ფული, ხარჯი, რომელიც ბანკს მოუხდენია მის გასასყიდლად დანიშნვაზე და სხვა სახაზინო და საერო გადასახადი.

აქავე პატივი აქვს ბანკის გამგეობას დაურთოს, რომ თვით ნომინალური ვალი, რომელიც რომელიმე ამა აღნიშნულ მამულთაგანზე ირიცხება, შეიძლება მოვალემ გარდაიხადოს ამავე ბანკის გირაოს ფურცლების შემოტანით მანეთით მანეთზე მათ ნომინალურ ღირებობაზე; აგრეთვე შეიძლება ეს ვალი გარდატანილ იქმნეს ბანკის დათანხმებით მყიდველზე, რომელიც კი ვალდებულად ხდის თავის თავს პასუხი აგოს ყველა იმ ვალებზე, რომელიც ნომინალურ ვალის გარდა, — აღნიშნულ მამულზე ირიცხება, ნაღდის ფულით.

თუ აღნიშნულს ამ წლის 20-ს ნოემბერს არ გაიყიდა მამული, — მაშინ წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვადა გაყიდვისა ამ წლის 7 დეკემბერს.

(3—2)


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური. . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 18 ოქტ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $317^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | 40 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 174 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 172 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 81 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 25 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 165 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 500 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 199 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 725 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 242 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 271 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 23 ოქტომ. | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 65 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | — |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 50 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 25 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 20 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 52 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Октября 1876 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.